ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N27

2018 წლის 21 თებერვალი

ქ. ქობულეთი

## ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და საწყისი საიჯარო ქირის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ" ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ბ." ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს (მ.ქათამაძე) თანხმობა გადასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 2018 წლის 15 ივნისის ჩათვლით შპს ,,ელიტა ბურჯი"-ს ბეტონის ფილები დროებით სარგებლობაში.

2. შპს ,, ელიტა ბურჯი"-სათვის ბეტონის ფილების დროებით სარგებლობაში გადასაცემი ერთი ცალი ბეტონის ფილის თვიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 10 (ათი) ლარის ოდენობით;

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ა.ანანიძე);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულებელი ნ.თხილაიშვილი